ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3297351

ნომერი: AR1505641

თარიღი : 22.05.2017

გაცემის თარიღი : 01.06.2017

გაცნობის თარიღი : 02.06.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ხეივანი დავით აღმაშენებელი , 1.6კმ -ზე ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- იულია ზაალიშვილი პ/ნ 01001021930
- თბილისი თემქა XI მ/რ III კვ. კორ. 41 ბ. 51

ორგანიზაცია:

- სს ნიკორა ტრეიდი კოდი: 206255808

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება კორექტირება

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი-დიდუბე, დავით აღმაშენებლის ხეივანი, 1,6 კმ-ზე, შპს "ტირიფი"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი№016/057), 24/02/2015წ.-ის #1750980 გადაწყვეტილებით შეთანხმებული მანათობელი სარეკლამო აბრის კორექტირებული ფოტომონტაჟის საფუძველზე მოწყობას. პასუხად გაცნობებთ, რომ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის შენობა-ნაგებობას, რომლის განთავსება არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა, სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური.
"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან რეგ.: N 882017424734 22/05/2017წ. საკადასტრო მონაცემები #01.13.01.016.076; არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტო და ფოტომონტაჟი, ესკიზური ნახაზი) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, თბილისში, სექტორი-დიდუბე, დავით აღმაშენებლის ხეივანი, 1,6 კმ-ზე, შპს "ტირიფი"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი№016/057), 24/02/2015წ.-ის #1750980 გადაწყვეტილებით შეთანხმებული მანათობელი სარეკლამო აბრის კორექტირებული ფოტომონტაჟის საფუძველზე მოწყობის შესაძლებლობას.
აქვე გაცნობებთ, რომ მანათობელი სარეკლამო აბრა განთავსდეს შპს "ტირიფი"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებში და უზრუნველყოფილი იქნას მისი კონსტრუქციული მდგრადობა.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.